



This Project is Funded by
The European Union



Kriminalvården



პრეს რელიზი

2007 წლის 10 ოქტომბერს 11 საათიდან 15 საათამდე ახალციხეში, უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში (მისამართი ახალციხე რუსთაველის ქ 106) ჩატარდა მრგვალი მაგიდა, რომელიც შეეხო საქართველოში პრობაციის სამსახურის პოპულარიზაციას, მის საქმიანობაში არსებული პრობლემებისა და პერსპექტივების განხილვას.

5 ოქტომბრის შეხვედრა იყო პირველი ეტაპი იმ შეხვედრებს შორის, რომელიც დაგეგმილია მოცემულ თემაზე, კერძოდ საქართველოს ყველა რეგიონში ჩატარდება 10 შეხვედრა

მრგვალი მაგიდის ჩატარების ორგანიზატორები იყვნენ PPRP (ევროკომისიის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის რეფორმის პროექტი) და PRI (ციხის საერთაშორისო რეფორმა) და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრობაციის დეპარტამენტის ახალციხის პრობაციის ბიურო.

მრგვალ მაგიდაზე მონაწილეობას იღებდნენ წარმომადგენლები იუსტიციის სამინისტროდან, ორგანიზატორი ორგანიზაციებიდან (PPRP, PRI, პრობაციის დეპარტამენტი). მოწვეულნი იყვნენ ადგილობრივი სასამართლოს, პროკურატურის, პოლიციის ორგანოების წარმომადგენლები, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები, არასამთავრობო სექტორი, ეკლესიის წარმომადგენლები და მასმედია.

მრგვალ მაგიდაზე ადგილი დაეთმო პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის პრეზენტაციას, რომელიც მიღებულ იქნა 2007 წლის 19 ივნისს, ასევე განხილული იქნა ზოგადად პრობაციის სამსახურების როლი რეგიონებში, მათი ურთიერთთანამშრომლობა სხვადასხვა სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, ეკლესიათა. ასევე მსჯელობის საგანი იყო პრობაციის რეგიონალურ ბიუროებში არსებული პრობლემები და სამომავლო გეგმები.

მრგვალი მაგიდა გაიხსნა – 11.00 საათზე.

საკონტაქტო პირები:

მაია ხასია (PRI) 8 77 44 22 05

ვახტანგ ადამია (PPRP) 8 99 58 30 19

მერაბ მერაბიშვილი (ახალციხის პრობაციის ბიუროს უფროსი) – 8 95 553666